

The 3rd Teacher Conference “University and School”(Problems of Teaching and Education)  
5-6 Desember, 2014, Materials

## კონსტრუქტივისტული მიდგომების გამოყენება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა სწავლების პროცესში

თინათინ საბაური

ქ. რუსთავის მე-16 საჯარო სკოლა, სპეციალური, მასწავლებელი

### *ანოტაცია*

*სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეები, ისევე როგორც ტიპური განვითარების მქონე მოსწავლეები სხვადასხვა ინტელექტუალური აზროვნებითა და განსხვავებული ადაპტაციური უნარებით გამოირჩევიან.*

*ცოდნის ტრანსფერისა და გენერალიზების უნარის გამომუშავება, განსაკუთრებით, მნიშვნელოვანია სსსმ მოსწავლეებისთვის, რამეთუ მათ, უმრავლეს შემთხვევაში, სპეციფიური აზროვნება და საკითხებისადმი თავისებური ხედვა და მიდგომა ახასიათებთ.*

*კონსტრუქტივისტული მიდგომის მიხედვით მოსწავლეები სწავლობენ აზროვნებისა და გამოცდილების საფუძველზე, რაც, შემდგომში, ხელს უწყობს მათი უფრო რთული შემეცნებითი უნარების ჩამოყალიბებასა და განვითარებას. მოსწავლეს ცოდნა მზა სახით არ უნდა მიეწოდოს და პასიურად არ უნდა იღებდეს ინფორმაციას, რომელიც მიეწოდება მასწავლებლის მიერ, არამედ იგი ბოლომდე უნდა იყოს ჩართული საგაკვეთილო პროცესში, თვითონ ააგოს ახალი ცოდნა, რომელიც, თავისი მხრივ, უნდა ეფუძნებოდეს ძველ ცოდნასა და გამოცდილებას.*

*მეცადინეობის მომზადებისა და დაგეგმვის პროცესში სსსმ მოსწავლის მასწავლებელი უპირატესობას უნდა ანიჭებდეს პრაქტიკული, რეალური სიტუაციებიდან აღებულ პრობლემებს, რომლებიც მოზარდს დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მოამზადებს.*

**საკვანძო სიტყვები:** *სსსმ მოსწავლეები, კონსტრუქტივიზმი, აქტივობა, ცოდნის გენერალიზება, სწავლა კეთებით, აღმოჩენით.*

კონსტრუქტივიზმი (constructus – ლათ. აგება, შენება) – პედაგოგიური ფილოსოფია, რომლის ძირითადი არსი ისაა, რომ ცოდნა არ შეიძლება მზა სახით გადაეცეს ბავშვს. საჭიროა, ისეთი პედაგოგიური პირობების შექმნა, რომ ბავშვმა თვითონ მოახერხოს ცოდნის კონსტრუქცია (აგება).

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეები, ისევე როგორც ტიპური განვითარების მქონე მოსწავლეები სხვადასხვა ინტელექტუალური

The 3rd Teacher Conference “University and School”(Problems of Teaching and Education)  
5-6 Desember, 2014, Materials

აზროვნებითა და განსხვავებული ადაპტაციური უნარებით გამოირჩევიან. საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაზაზე სააზროვნო უნარ-ჩვევების განვითარება ეროვნული სასწავლო გეგმის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია. მოსწავლე მაშინ შეიძლება ჩაითვალოს წარმატებულად, თუკი იგი შეძლებს კონკრეტული ცოდნის სხვაგვარ, განსხვავებულ სიტუაციაში გამოყენებასა და გენერალიზებას. ამას უწოდებენ ტრანსფერს.

ცოდნის ტრანსფერისა და გენერალიზების უნარის გამომუშავება, განსაკუთრებით, მნიშვნელოვანია სსსმ მოსაწვლეებისთვის, რამეთუ მათ, უმრავლეს შემთხვევაში, სპეციფიური აზროვნება და საკითხებისადმი თავისებური ხედვა და მიდგომა ახასიათებთ. მიუხედავად იმისა, რომ ზოგ შემთხვევაში მათი ინტელექტი ნორმის ფარგლებშია, ან შესაძლოა იყოს ნორმაზე მეტიც კი, ფსიქიკური განვითარების შეფერხება შეიძლება გამოვლინდეს ერთ ან რამდენიმე სფეროში. იმისათვის რომ თავიდან ავიცილოთ განვითარების დინამიკის სრული რეგრესი, ამ მიმართულებით ძალიან დიდი და შრომატევადი მუშაობა უწევთ საგნის მასწავლებლებსა და სპეც პედაგოგებს.

მოსწავლის იდენტიფიცირების, აკადემიური და კოგნიტური უნარების შეფასებისა და მისი ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენის შემდეგ უმნიშვნელოვანესია მოსწავლის სწავლის სტილის დადგენა, მისი სწავლების პროცესის ზუსტი დაგეგმვა, მოსწავლის შესაძლებლობებზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა, გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნების, მათი შესაბამისი აქტოვობებით გაწერა, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს პერიოდულ გადახედვასა და მონიტორინგს. მოსწავლის შესაძლებლობებსა და ინტერესებზე ზუსტად მორგებული სასწავლო პროცესი მოსწავლის წარმატების გარანტიაა, რაშიც ლომის წილი საგნის მასწავლებლებსა და სპეც პედაგოგებს მიუძღვით ფსიქოლოგებთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

კონსტრუქტივისტული მიდგომის მიხედვით მოსწავლეები სწავლობენ აზროვნებისა და გამოცდილების საფუძველზე, რაც შემდგომში ხელს უწყობს მათი უფრო რთული შემეცნებითი უნარების ჩამოყალიბებასა და განვითარებას. მოსწავლეს ცოდნა მზა სახით არ უნდა მიეწოდოს და პასიურად არ უნდა იღებდეს ინფორმაციას, რომელიც მიეწოდება მასწავლებლის მიერ, არამედ იგი ბოლომდე უნდა იყოს ჩართული საგაკვეთილო პროცესში, თვითონ ააგოს ახალი ცოდნა, რომელიც, თავისი მხრივ, უნდა ეფუძნებოდეს ძველ ცოდნასა და გამოცდილებას.

სასწავლო პროცესში შერჩეული აქტივობები და მათი შესრულების ტემპი ბოლომდე უნდა იყოს მორგებული მოსწავლის შესაძლებლობებსა და ინტერესებზე. მოგეხსენებათ, კონსტრუქტივისტი მასწავლებელი არის არა მასწავლებელი-ხელმძღვანელი, არამედ ბავშვის კონსულტანტი, ორგანიზატორი და კოორდინატორი, დამხმარე პირი, რომელიც ისევე ეხმარება მოსწავლეს, როგორც ხარაჩოები – მშენებელს.

მეცადინეობის მომზადებისა და დაგეგმვის პროცესში სსსმ მოსწავლის მასწავლებელი უპირატესობას უნდა ანიჭებდეს პრაქტიკული, რეალური სიტუაციებიდან

The 3rd Teacher Conference “University and School”(Problems of Teaching and Education)  
5-6 Desember, 2014, Materials

აღებულ პრობლემებს, რომლებიც მოზარდს დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მოამზადებს.

კონსტრუქტივისტული მიდგომები იკვეთება ჟან პიაჟესა და ლევ ვიგოდსკის თეორიებში. თუმცა სსსმ მოსწავლეთა სწავლებაზე ყველაზე მეტად ორიენტირებული, ალბათ, კონსტრუქტივიზმის ე.წ. რევოლუციონერი ჯერომ ბრუნერი გახლავთ. მისეული ხედვა ატიპიური განვითარების მქონე მოსწავლეთა სწავლებისას ეფექტურად შეიძლება იქნას გამოყენებული. ბრუნერის აზრით, ნებისმიერი საგნის დაუფლება 3 პროცესს მოიცავს:

1. **ახალი ინფორმაციის მიღება.** ცხადია, პედაგოგი ყოველ ჯერზე უნდა ცდილობდეს საკლასო ოთახში კლასთან ერთად მუშაობისას, თუ რესურს ოთახში ინდივიდუალური მეცადინეობისას ისე წარმართოს სასწავლო პროცესი, რომ სსსმ მოსწავლეს მიეწოდოს მცირე წილი ახალი ინფორმაციისა.
2. **ცოდნის ტრანსფორმაცია.** ჩვენი თვითმიზანია, მოსწავლემ შეძლოს ახალი ცოდნის ტრანსფორმირება, ანუ ახალ, სხვა სიტუაციაში მისი გემოყენება, რისთვისაც პედაგოგის ძალიან დიდი ძალისხმევაა საჭირო. მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეს მიღებული ახალი ცოდნის გარდაქმნასა და გენერალიზებაში.
3. **შემოწმების პროცესი.** უმნიშვნელოვანესია, საგაკვეთილო პროცესში ახსნილი და გადაცემული ცოდნის შემოწმება. პედაგოგი საგაკვეთილო პროცესს იწყებს განვლილი მასალის გამეორებითა და ამოწმებს მოსწავლის ცოდნის გაგების ხარისხსა და გადავადებულ მეხსიერებაში მისი ოდენობის მოცულობას. ამაში, ცხადია, ეხმარება სპეც პედაგოგიც და შესაბამისი აქტოვობების დაგეგმვით ახდენს მოსწავლის მიერ შეძენილი ცოდნის შემოწმებას, გამეორებასა და კონსტრუირებას.

ჯერომ ბრუნერი თვლის, რომ არსებობს აღმოჩენით სწავლების ხელშემწყობი (ან ხელის შემშლელი) პირობების 4 ჯგუფი. ესენია: განწყობა, სწავლისადმი მზაობა, კონკრეტული შინაარსების ცოდნა და სწავლების მრავალფეროვნება.

ცხადია, თითოეული მათგანი თავისებურ ასახვას პოვებს სსსმ მოსწავლეთა სწავლების პროცესში. განვიხილოთ ეს ჯგუფები:

- **განწყობა** – ამზადებს მოსწავლეებს იმისათვის, რომ შეძლონ მიწოდებულ ინფორმაციაზე შესაბამისად რეაგირება. ატიპიური განვითარების მქონე მოსწავლეებთან, ეს კიდევ მეტად მნიშვნელოვანია, რამეთუ თუკი მათ არ აქვთ გარკვეული აქტივობისა და სავარჯიშოს შესრულების განწყობა, მათი იძულება თითქმის შეუძლებელია. ამიტომ მასწავლებელი უნდა ეცადოს, როგორც კლასის სხვა მოსწავლეების, ასევე თითოეული სსსმ მოსწავლის განწყობის შემზადებასა და შექმნას.
- **სწავლისადმი მზაობა.** ბრუნერი თვლის, რომ მოსწავლის სწავლისადმი აგზნების ზომიერი დონე უფრო მეტად უწყობს ხელს აღმოჩენით გზით სწავლას, ვიდრე

აგზნების ზედმეტად დაბალი ან მაღალი დონე. ცხადია, ეს პროცესი ხშირ შემთხვევაში ატიპიური განვითარების მქონე მოზარდებთან უფრო გართულებულია და სწავლისადმი მზაობა არცთუ ადვილად მისაღწევია. თუმცა შესაბამისი საწავლო გარემოს შექნით, მათ საინტერესოდ შერჩეული აქტივობებითა და ინდივიდუალური მუაობით ეს პროცესიც მიღწევადია.

- **კონკრეტული შინაარსების ცოდნა.** ცხადია, სსსმ მოსწავლეს შესაძლოა საერთოდ არ ქონდეს წინარე ინფორმაცია ამა თუ იმ საგანის კონკრეტულ საკითხზე და ერთი შეხედვით, შეუძლებლადაც კი ჩანდეს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მიზანთან გაკვეთილის მიზნის შესაბამისობა, მაგრამ აღმოჩენის გზით მიწოდებული ინფორმაცია დაეხმარება მოზარდს წინარე ცოდნის გარეშეც მოახდინოს ახლად შეძენილი გამოცდილების კონსტრუირება და მასზედ ახალი ცოდნის დაშენება. (ეს შეიძლება გაგებულ იქნას უსინათლო ბავშვის მაგალითზე: შესაძლოა ტოტალური უსინათლობის მქონე მოსწავლემ არ იცოდეს, როგორ გამოიყურება მცენარე, მისი ფოთლები, ღერო, ფესვები, მაგრამ თუკი მივცემთ იმის ასპარეზს, რომ შეეხოს მათ, ან მათ მაკეტს, ამით ბავშვს ვაძლევთ იმის საშუალებას, რომ თავად ააგოს ამ კონკრეტულ საგნებზე საკუთარი გამოცდილება და გამოცდილებაზე დაყრდნობით შეძლოს ახალი ცოდნის კონსტრუირება.
- **მრავალფეროვანი სწავლება** – აქ, მართალია, ბრუნერი სპირალურ სასწავლო გეგმას გულისხმობს, რომელიც, თავისთავად მეტად გამოსაყენებელია ინკლუზიურ განათლებაშიც, მაგრამ ამჯერად სსსმ მოსწავლეების მიმართებაში შესაძლოა მულტიმოდალური სწავლების მოდელით ჩავანაცვლოთ. მივცეთ მოსწავლეებს საშუალება, რომ მოახდინონ ახალი ცოდნის აღმოჩენა სხვადასხვა არხების გამოყენებით: ვიზუალური, სმენითი, კინესთეტიკური (შეხებითი) გზებით, რათა მრავალსენსორული მეთოდებით მიწოდებული ახალი ინფორმაცია მათთვის იყოს უფრო გასაგები და ადვილად აღსაქმელი.

რაც შეეხება **სპირალური კურიკულუმის** ცნებას, რომელიც სწავლების ბრუნერისეული მეთოდია, ვფიქრობთ, განათლების არც ერთ ეტაპზე ისე არ გამოიყენება, როგორც ინკლუზიურ განათლებაში. სპირალური კურიკულუმის ცნება, ჩვენი აზრით, შეიძლება ინკლუზიური განათლების ძირითად ლაიტმოტივად დასახელდეს. ჯერომ ბრუნერის მოსაზრების თანახმად: თითოეული საგნის საფუძვლები ნებისმიერ ბავშვს შეიძლება ვასწავლოთ ნებისმიერ ასაკში, თუ მას ბავშვისთვის გასაგები ფორმით მივაწვდით. სწორედ ეს არის პასუხი საზოგადოების იმ ნაწილისათვის, რომლებიც ფიქრობს, რომ საბუნებისმეტყველო საგნების სწავლება სსსმ მოსწავლეთათვის აზრს მოკლებული და შეუძლებელია.

## კონსტრუქტივისტული მიდგომის გამოყენება სსსმ მოსწავლეების სწავლების პროცესში:

### სიტუაცია 1.

ნინო მეოთხე კლასშია. მას აუტისტური სპექტრის აშლილობა აქვს. იგი თითქმის არ შედის კონტაქტში თანაკლასელებთან. არავისთან ამყარებს ვერბალურ კომუნიკაციას. მასწავლებელთანაც, საჭიროების შემთხვევაში, შემოიფარგლება მხოლოდ მოკლე პასუხებით. საკუთარი სურვილისამებრ ზის ბოლო მერხზე, განცალკევებით. ნინოს სასკოლო დისციპლინებიდან ყველაზე მეტად მათემატიკა უყვარს. განსაკუთრებით მოსწონს ამოცანების ამოხსნა, თუმცაღა მისი საბაზისო მათემატიკური უნარები მნიშვნელოვნად ჩამორჩება თანაკლასელებისას. მასწავლებელმა იცის რა ნინოს შესაძლებლობები მათემატიკაში, ყოველ გაკვეთილზე აძლევს ასის ფარგლებში მიმატება–გამოკლების მაგალითებს, რომელთა სწორად შესრულებასაც ნინო კალკულიატორის გარეშე თითქმის ვერასდროს ახერხებს. ნინოს ბეზრდება ყოველ ჯერზე ერთი და იგივე სავარჯიშოების შესრულება, ძალიან ზერელებდ ეკიდება მიცემულ დავალებას და, შესაბამისად, ბევრ შეცდომასაც უშვებს.

სპეც პედაგოგმა დაკვირვებისა და ნინოსთან ინდივიდუალური მუშაობის შედეგად დაადგინა, რომ მას მათემატიკური ამოცანების ამოხსნა იზიდავს, თუმცა ასეთ დავალებას მას თითქმის არასდროს აძლევენ. სპეც პედაგოგი შეეცადა ასის ფარგლებში რიცხვითი გამოსახულებების შედგენის ნაცვლად, ნინოსთვის ამოცანები შეედგინა და მათი ამოხსნა დაევალებინა, რომლებიც იგივე სირთულის რიცხვების შეკრება–გამოკლებით იყო აგებული. ნინოს **განწყობა** ამოცანების დანახვისას სრულიად შეიცვალა. მისი მოტივაცია მნიშვნელოვნად გაიზარდა; სწავლების **აღზნების დონე**, რომელიც იქამდე თითქმის მოდუნებული იყო, ამაღლდა; შეეცადა, თვალსაჩინოებისა და კალკულიატორის დახმარებით უფრო ზედმიწევნით გამოეყენებინა თავისი **კონკრეტული ცოდნა** რიცხვების შეკრება–გამოკლებისა და, შესაბამისად, შედეგიც უკეთესი გამოუვიდა.

### სიტუაცია 2.

8 წლის რატის ძალიან უჭირს კითხვა. მას განსაკუთრებით გართულებული აქვს კითხვისას ფონოლოგიური სინთეზისა და ანალიზის უნარი. არ შეუძლია ამოკითხული სიტყვების მნიშვნელობის წვდომა და, შესაბამისად, უჭირს თუნდაც ძალიან მარტივი და მცირე ზომის ტექსტების გააზრება და გადმოცემა. ქართულის მასწავლებელი ვერ ახერხებს რატის საგაკვეთილო პროცესში ჩართვას და მიაჩნია, რომ რატის თანაკლასელებთან ერთად ქართულის გაკვეთილზე დასწრება აზრს მოკლებულია. სპეც პედაგოგმა გაანალიზა არსებული ვითარება და მასწავლებელს ურჩია, მოცემული ტექსტის შესაბამისი სიუჟეტური ნახატების მოძიება. რატის დაულაგეს წინ სიუჟეტური ბარათები და მათ მიხედვით ქრონოლოგიურად მოუყვეს მოცემული ტექსტის შინაარსი. მულტიმოდალურმა მიდგომამ, რაც გულისხმობდა ვიზუალურ-სმენითი მეთოდის გამოყენებას, საუკეთესო

შედეგი გამოიღო: რატიმ გაიაზრა სიუჟეტის შინაარსი და შეძლო ბარათების დახმარებით მისი გადმოცემა. კონკრეტულ შემთხვევაში სპეც პედაგოგმა გამოიყენა სწავლების მეთოდი, რომელიც უშუალოდ იქნა მორგებული რატიმ განვითარების დონესთან. მისი კოგნიტიური განვითარება გახლდათ **მოქმედებით** სტადიაზე, როდესაც იგი ახალი ინფორმაციის დაუფლებას ყველაზე კარგად მოტორული ან სენსორული არხებით ახერხებდა. თუმცა **წარმოსახვით** (ანუ ვიზუალურად) მიწოდებულმა ინფორმაციამ (ამ შემთხვევაში სიუჟეტური ნახატების სახით) რატიმ გაუადვილა ტექსტის გაგებისა და გააზრების პროცესი და შეძლო ტექსტის **სიმბოლოების** სახით (ამ შემთხვევაში ვერბალური სიმბოლოების) გადმოცემა.

### სიტუაცია 3.

მე-8 კლასელ ლაზარეს არ უყვარს ფიზიკა. იგი თვლის, რომ ფიზიკა ძალიან რთული საგანია, მას მაინც ვერ ისწავლის და ვერც გამოიყენებს. ფიზიკის მასწავლებელმა ლაზარესთან გასაუბრების შემდეგ ისეთი თემა შეარჩია სახელმძღვანელოდან, რომელიც ბავშვს თვალსაჩინოდ დაანახებდა ამ დისციპლინის ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენების მნიშვნელობას. მან მიზნად დაისახა ნივთიერებების აგრეგატული მდგომარეობის ცვლილების სწავლება. მყარი და თხევადი ნივთიერებების მოდელების გაცნობის შემდეგ მან საშუალება მისცა ლაზარეს, დაკვირვებოდა მყარი ნივთიერების (ყინულის) გადნობის შედეგად თხევადი ნივთიერების (წყლის) მიღებისა და ბოლოს აირად ნივთიერებად (ორთქლად) გადაქცევის პროცესს.

მასწავლებელმა დაანახა ლაზარეს, რომ ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში ფიზიკის სახელმძღვანელოში მოცემული მოვლენები თავისთავად მიმდინარეობენ. მათზე წარმოდგენისა და თეორიული ცოდნის ქონა კიდევ მეტად აადვილებს ამ პროცესების გაგებასა და გაანალიზებას. ლაზარე დაინტერესდა მომდევნო ექსპერიმენტმა – რატომ ორთქლდება მინაზე დაწვეთებული ერთი და იგივე რაოდენობის ზეთი, წყალი და სპირტი სხვადასხვანაირად. მან ასევე მოახდინა დაკვირვება ორ ერთნაირი ზომის ჭურჭელზე, რომლებშიც ერთი და იგივე რაოდენობის წყალი ესხა. ის ჭურჭელი, რომელსაც თავს ახურავს, უფრო დიდხანს ინარჩუნებს სითხის რაოდენობას, ვიდრე მეორე – რომელსაც არაფერი ახურავს.

მასწავლებლის მიერ გამოყენებულმა კონსტრუქტივისტულმა მიდგომამ იქამდე უინტერესო და „რთული“ ფიზიკა ლაზარესთვის საინტერესო გახადა. აღმოჩენის გზით მიღებულმა ცოდნამ მოსწავლის ინტერესი საგნის მიმართ გააღვიძა და შინაგანი მოტივაციაც აღუძრა.

### სიტუაცია 4.

ბიოლოგიის მასწავლებელს მე-5 კლასში ასახსნელი აქვს მცენარეთა სამყარო და მცენარეების შემადგენელი ნაწილების ფუნქციები. მას კლასში უსინათლო ანა ყავს,

The 3rd Teacher Conference “University and School”(Problems of Teaching and Education)  
5-6 Desember, 2014, Materials

რომელიც ვერ შეძლებს ახსნისას პლაკატებზე გამოსახული მცენარის ნაწილების დანახვას. მასწავლებელმა მოიძია ტაქტილური ბარათი, რომელზეც ანა შეხებით განასხვავებდა მცენარის ნაწილებს, ფესვებს, ღეროს, ფოთლებსა და ყვავილს. გარდა ამისა, ანასთვის მცენარეთა ნაწილების ფუნქციების დასწავლის გაადვილების მიზნით პედაგოგმა გაკვეთილზე შემოიტანა გაყვავილებული ნერგი, რომელიც მთელი კლასისთვის თვალსაჩინო მაგალითი გახლდათ, ხოლო ანასთვის შესაძლებელი გახდა მცენარის თითოეული ორგანოს შეხებით მისი ნაწილების ფაქტურის გაცნობა და, შესაბამისად, მცენარის კიდევ უკეთესად აღქმა და შემეცნება. პედაგოგმა ნერგი ჩადო წყლიან ჭიქაში. მომდევნო გაკვეთილზე ანამ შეხებით დაადგინა, რომ ნერგის ფოთლები და ყვავილი ისევე ისე გამოიყურებოდა, რადგან მცენარეს ფესვის საშუალებით წყალი მიეწოდებოდა. მასწავლებელმა ჭიქიდან წყალი გადააქცია და ნერგი ცარიელ ჭიქაში დატოვა. შემდეგ გაკვეთილზე ანამ აღმოაჩინა, რომ ნერგის ფოთლები და ყვავილი დამჭკნარიყო და გამხმარიყო.

მასწავლებელმა მოყვანილი აქტივობით უზრუნველყო, რომ ანას თვითონ შეემეცნა მცენარის აგებულება, აღმოეჩინა მისი შემადგენელი ნაწილების ფუნქციები და მათი მნიშვნელობა.

დიდია კონსტრუქტივისტული მიდგომების განმავითარებელ თეორეტიკოსთა ღვაწლი მოსწავლეთა კოგნიტური განვითარების პროცესებში. თითოეული მასწავლებლის ვალია, იმის ბოლომდე გაცნობიერება, რომ სსსმ მოსწავლეთა აქტიური ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში ძალიან მნიშველოვანია. შვეიცარიელი ფსიქოლოგის ჟან პიაჟეს მიხედვით, ბავშვის ინტელექტუალური განვითარება დამოკიდებულია კონსტრუქციულ ქმედებაზე, იმიტომ რომ პრობლემის გადაწყვეტის უნარის სწავლება შეუძლებელია, პრობლემა ბავშვმა თვითონ უნდა გადაწყვიტოს. საჭიროა, ყურადღება გამახვილდეს სსსმ მოსწავლეთა აზროვნების პროცესებზე და არა მხოლოდ მათ შედეგებზე. მასწავლებელმა მხოლოდ მოსწავლის პასუხი კი არ უნდა შეამოწმოს, არამედ უნდა იცოდეს, თუ რა კოგნიტური სტრატეგია გამოიყენა ბავშვმა პასუხის მისაღებად. სასწავლო პროცესში, განსაკუთრებით, გასათვალისწინებელია ის, რომ ბავშვების განვითარების ტემპი განსხვავებულია და ეს განსხვავება უნდა გაითვალისწინოს მასწავლებელმა. ასევე მოსწავლეთა შეფასება უნდა განისაზღვროს თითოეული ბავშვის ინდივიდუალური განვითარების პროგრესის გათვალისწინებით.

ინკლუზიურ განათლებაში ასევე საინტერესოა რუსი ფსიქოლოგის ლევ ვიგოტსკის სოციალური კონსტრუქტივიზმის თეორია. ის ამტკიცებდა, რომ ბავშვის განვითარება სხვებთან ურთიერთობის შედეგად ხდება. მოსწავლის სწავლებისას უფროსი ქმნის სასწავლო სიტუაციას, რომელიც მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებებიდან გამომდინარე ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსხვავებულია.

განსაკუთრებით საინტერესოა ვიგოტსკისეული თვალსაზრისი პედაგოგების მიმართ, რომელიც, ჩვენს შემთხვევაში, სსსმ მოსწავლეთა საგნის მასწავლებლებისა და სპეც

The 3rd Teacher Conference “University and School”(Problems of Teaching and Education)  
5-6 Desember, 2014, Materials

მასწავლებლების სწავლების მეთოდოლოგიას ეხმიანება: უფრო მნიშვნელოვანია პედაგოგს ვასწავლოთ ბავშვებთან ურთიერთობა, თანამშრომლობა, დიალოგის წარმართვის ხელოვნება და არა მხოლოდ სწავლების მეთოდები. სწავლების მეთოდები სრულიად უსარგებლოა ბავშვთან სწორი ურთიერთობის გარეშე.

### ძირითადი რეკომენდაციები სსსმ მოსწავლეების პედაგოგებს:

1. შეუქმნით მოსწავლეებს უსაფრთხო, სასურველი, წამახალისებელი გარემო.
2. შეადგინეთ ქცევის წესები, განუმარტეთ ისინი მოსწავლეებს და ჩამოკიდეთ საკლასო ოთახში თვალსაჩინო ადგილას. სასურველია, რომ უსინათლო მოსწავლეებისათვის ქცევის წესები განთავსდეს ბრაილის შრიფტით, მათთვის ხელმისაწვდომ ადგილას.
3. დაადგინეთ მოსწავლის განვითარების ამჟამინდელი და უახლოესი დონეები და სწავლების დროს გაითვალისწინეთ ისინი.
4. დაამყარეთ მოსწავლესთან თვალთ კონტაქტი.
5. დასვით სსსმ მოსწავლეები წინა მერხზე, დაფასთან ახლოს, რაც გაუადვილებს მათ მოსმენასა და ახალი მასალის უკეთ აღქმა-გაგებას. ( განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სმენის პრობლემების მქონე მოსწავლეებისათვის).
6. სწავლება მიმართული უნდა იყოს მარტივიდან რთულისკენ.
7. რთული დავალება რამდენიმე პატარა, უფრო მარტივ ნაწილებად დაყავით. ყოველი დავალების შესრულების შემდეგ გაახსენეთ და გაუმეორეთ ინსტრუქციები. უმჯობესია, ერთ ჯერზე მისცეთ მხოლოდ ერთი ინსტრუქცია.
8. მიეცით დამატებითი დრო დავალების შესასრულებლად.
9. მიეცით უფლება, თუ სურვილი აქვს, დიქტოფონზე ჩაიწეროს ახსნილი მასალა. (ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცერებრული დამბლის მქონე მოსწავლეთათვის).
10. ზოგიერთ მოსწავლეს შესაძლოა დასჭირდეს კონკრეტული მითითებები და მიმართულებების მიცემა.
11. მაქსიმალურად გამოიყენეთ აუდიო-ვიზუალური მასალა; იმუშავეთ მულტიმოდალური მეთოდებით.
12. გაუღვიძეთ მოსწავლეებს დავალების შესრულების მოტივაცია.
13. დაეხმარეთ საშინაო დავალების ჩაწერასა და ორგანიზებაში.
14. ხშირად შეაქეთ და აქტიურად წაახალისეთ მოსწავლეები ყოველი უმნიშვნელო წარმატებისა და პოზიტიური ქცევის შემდეგ; გამოიყენეთ დადებითი განმამტკიცებლები; გახსოვდეთ, რომ განმამტკიცებლები მოსწავლეთა ინტერესის და სურვილის შესატყვისი უნდა იყოს.
15. მიეცით დამატებითი დრო დავალების შესასრულებლად.
16. შესთავაზეთ მოსწავლეებს დახმარება, მაგრამ არა იმაზე მეტი, ვიდრე საჭიროა.
17. ჩართეთ საგაკვეთილო პროცესში იმიტაცია. (ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აუტიზმის მქონე მოსწავლეებისათვის).



18. ამუშავეთ მოსწავლეები მცირე ჯგუფებში, გუნდებში; ეს ხელს შეუწყობს მათი სოციალური უნარების გამომუშავებასა და განვითარებას.
19. მიეცით მოსწავლეებს საშუალება, გააკეთონ არჩევანი მათი ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.
20. მიეცით მოსწავლეებს შანსი, ისწავლონ კეთებით. საგაკვეთილო პროცესში გამოიყენეთ ისეთი აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებს იმეცნონ ახალი მასალა და დამოუკიდებლად ააგონ ახალი ცოდნა.
21. დაეხმარეთ მოსწავლეებს, გახდნენ დამოუკიდებელი მოქალაქეები, განუვითარდეთ ფუნქციური, ადაპტაციური უნარ-ჩვევები.
22. ხელი შეუწყვეთ მოსწავლეებში თავდაჯერებულობისა და თვდამკვიდრების განცდის ჩამოყალიბებას.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. მელიქიშვილი, მ. – კონსტრუქტივიზმი. 2012 წ.
2. მელიქიშვილი მ. – ჟან პიაჟეს კოგნიტური განვითარების თეორია. 2012 წ.
3. მელიქიშვილი მ. – ლევ ვიგოტსკის კოგნიტური განვითარების სოციო – კულტურული თეორია. 2012 წ.